

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის პილოტური ანალიზი

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრულის ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის (Public Expenditure Review) საფუძველზე, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). აღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია არეგულირებს 5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების მომზადების, წინასწარი შერჩევის, შეფასების, ბიუჯეტირების, განხორციელების, მონიტორინგის და განხორციელების შემდგომი შეფასების პროცესებს.

საინვესტიციო პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება საინვესტიციო პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის თანმიმდევრული დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (Public Investment Management Assessment Report - PIMA), შემუშავდა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის №385 ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საინვესტიციო პროექტების შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების შესასრულებლად. დონორების მხარდაჭერით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეხმარება როგორც საერთაშორისო, აგრეთვე ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნული სისტემის დანერგვასა და მეთოდოლოგიური მითითებების დახვეწაში.

სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის №165 ბრძანებით დამტკიცებული

საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი პილოტური საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების განხილვას და წინადადებების მომზადება, ჯგუფი ასევე მუშაობს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის დახვეწაზე და სამუშაო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე.

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვა მნიშვნელოვანი კომპონენტია ევროკავშირის ფინანსური დახმარების (EU - ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება) რეფორმის ფარგლებში.

პილოტური პროექტები

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ციკლის ფარგლებში პირველად ხორციელდება საქართველოს პარლამენტისათვის მოკლე ანგარიშის წარდგენა. საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ამ ეტაპზე დაიწყო იმ საინვესტიციო პროექტების ანალიზი პილოტურ რეჟიმში, რომელთა განხორციელებაზე გადაწყვეტილება არ იყო მიღებული საშუალოვადიანი პერიოდისათვის რეფორმის დაწყების დროისთვის. ინფორმაცია აჯამებს სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ 14 საინვესტიციო პროექტს, მათ შორის 4 პროექტის ინიციატორია თბილისი, ბათუმი, ფოთის მუნიციპალიტეტები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო 10 პროექტის ინიციატორია სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები. საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი ემყარება ინიციატორი უწყების მიერ წარმოდგენილ დაშვებებს. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ალტერნატიული დაშვებები, ვინაიდან სამუშაო ჯგუფს და ინიციატორ უწყებას შორის, დაშვებების რეალისტურობასთან მიმართებაში არსებობს პრინციპული აზრთა სხვადასხვაობა.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას ყველა პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ანალიზი და დოკუმენტი მომზადდა პირველად. სამუშაო ჯგუფი კვლავ აგრძელებს ამ პროექტების, ასევე სხვა ახალი პროექტების ანალიზზე და დაშვებების დახვეწაზე მუშაობას და დონორული მხარდაჭერით შესაბამის ექსპერტებთან თანამშრომლობას. ამასთან, წლის ბოლომდე დაგეგმილია საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის გადამუშავება. შეიქმნება უწყებათაშორისი კომისია და შესაძლებელია, რომ კომისიის მიერ წლის ბოლომდე განხორციელდეს საპილოტე პროექტების განხილვა და შესაბამისად დაკორექტირდეს წარმოდგენილი ანალიზები.

1. საერთაშორისო სტანდარტების ჭიდაობის სახლის მშენებლობა¹

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	საერთაშორისო სტანდარტების ჭიდაობის სახლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარე/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ჭიდაობის სახლი აშენდება ახალი თბილისის ოლიმპიური ქალაქის ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში კომპლექსურად მოთავსებული ჭიდაობის, სამბოს და ქართული ჭიდაობის დარბაზები გაზრდის სპორტის განვითარების ხარისხს, რაც ყოველწლიურად გააუმჯობესებს ქართველი სპორტსმენების მიღწევებს საერთაშორისო დონეზე. საპროექტო ობიექტი იქნება საზოგადოებრივი ტიპის შენობა, საერთო ფართი 8.000 კვ.მ. მდე, რომელსაც ექნება ერთი ძირითადი და რამდენიმე სავარჯიშო და სატრენაჟორო დარბაზი, მაყურებელთა რაოდენობა დაახლოებით 1000-1500 იქნება ძირითად დარბაზში. ხოლო ცენტრალური დარბაზში შესაძლებელია მოეწყოს საერთაშორისო შეჯიბრებები. შერჩეულ ტერიტორიაზე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქართველ სპორტსმენებს, მოჭიდავეებს ექნებათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საწვრთნელი და საშეჯიბრო ბაზა, რაც საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის უკეთესად მომზადების საშუალებას მისცემს, გაზრდის მათ შედეგებს საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე გაიზრდება შესაბამის სახეობაში მოვარჯიშე სპორტსმენთა რაოდენობა. დღეისათვის მძიმე ინფრასტრუქტურული პრობლემები ჭიდაობასთან ერთად გააჩნია სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში ჩართულ სპორტსმენებსაც. პროექტის განხორციელების შემდგომ შეძლებენ უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პირობებში წვრთნასა და შეჯიბრებებისათვის მომზადებას.
შეფასების პერიოდი	15 წელი

¹ პროექტის დაფინანსება გათვალისწინებულია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და 2020-2023 წლების საშუალოვანიად პროგნოზებში

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	რეკონსტრუქცია	ახალი ჭიდაობის სახლის აშენება	მცირე ზომის ჭიდაობის სახლის აშენება
არსებული ობიექტის ფართობი	5,201.0	8,000.0	6,600.0
საექსპლუატაციო ხარჯები(წყალი, დასუფთავება, დენი)	65,522.5 ლ	85,431.6 ლ	70,481.1 ლ
ახალი ობიექტის მაქსიმალური დატვირთვა	-	7,466.7	5,600.0

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები				
	არაფრის კეთება	რეკონსტრუქცია	ახალი ჭიდაობის სახლის აშენება	მცირე ზომის ჭიდაობის სახლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება	-	10,175,000.0 ლ	25,483,000.0 ლ	20,985,000.0 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	10,000,000.0 ლ	25,245,000.0 ლ	20,790,000.0 ლ
საოპერაციო ხარჯი	-	175,000.0 ლ	238,000.0 ლ	195,000.0 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ²	233,567.6 ლ	236,237.3 ლ	276,285.2 ლ	250,048.1 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ³	- ლ	- ლ	2,819,243.5 ლ	2,007,643.1 ლ
მ.შ უცხოელი სპორტსმენებისგან მიღებული შემოსავალი	-	-	73,227.1 ლ	54,920.3 ლ
მ.შ სხვა შემოსავალი(იჯარა, სპონსორების დაფინანსება)	-	-	183,067.8 ლ	122,045.2 ლ
მ.შ სპორტსმენების საზღვარგარეთ ვარჯიშის			2,562,948.6 ლ	1,830,677.6 ლ

² ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი

³ შემოსავლებში შედის უნივერსიტეტის და კოლეჯის სტუდენტების სწავლის საფასური და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური

<i>ყოველწლიურად დაზოგილი თანხები</i>				
<i>NPV</i> ⁴	-2,541,927.28 ლ	-2,570,027.21 ლ	-1,875,549.13 ლ	-4,679,921.90 ლ
<i>E/NPV</i>	-	-	2,182,777.40 ლ	-621,595.37 ლ
<i>IRR</i> ⁵	-	-	4%	2%
<i>E/IRR</i>	-	-	6%	5%
<i>B/C</i> ⁶	-	-	0,93	0,80
<i>E/B/C</i>	-	-	1.08	0.97

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით პროექტის მომგებიანი (E/NPV დადებითია) გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება იმ მიწის გაყიდვა, სადაც დღეს არსებობს აღნიშნული დაწესებულება .

სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა წარმოდგენილი 4 ალტერნატივა წმინდა მიმდინარე ღირებულებით. ყველა ალტერნატივას აქვს უარყოფითი ფინანსური NPV, ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს და ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ფინანსურად წამგებიანი. თუმცა ქართველი სპორტსმენების საზღვარგარეთ ვარჯიშის ყოველწლიურად დაზოგილი თანხებით და უცხოელი სპორტსმენებისგან შეკრებებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ქვეყნის მისაღებ სარგებელს.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, პროექტი აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#1: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, დიდველის სამთო სათხილამურო კურორტზე სამი საბაგირო გზის მშენებლობა⁷

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, დიდველის სამთო სათხილამურო კურორტზე სამი საბაგირო გზის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	ახალი საბაგირო გზების მშენებლობით დიდველის გამტარუნარიანობა გაიზრდება 7200 კაც საათით, მოხდება ახალი სასრიალო მიმართულებების და ტრასების მოწყობა. გაჩნდება სხვადასხვა ალტერნატიული მიმართულებები, რაც შეამცირებს რიგებს და კურორტის ტერიტორიაზე გადაადგილებას გახდის უფრო კომფორტულს. განიტვირთება სასრიალო ტრასები, გაიზრდება უსაფრთხოება და დიდველის კურორტი გახდება უფრო მიმზიდველი ქართველ და უცხოელ ვიზიტორებში. ახალი საბაგირო გზების დამატება საქართველოს საშუალებას მისცემს, უმასპინძლოს 2023 წლის FIS-ის მსოფლიო ჩემპიონატს. მოხდება სასრიალო ტრასების ადაპტაცია და მშენებლობა იმ სტანდარტებით და პარამეტრებით რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო სათხილამურო ფედერაციის მოთხოვნებს.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	კურორტ დიდველზე დღეის მდგომარეობით არსებული საბაგირო გზები, პიკურ პერიოდში ვერ უზრუნველყოფს ვიზიტორთა მომატებული ნაკადის გამტარიანობას, სასრიალო ტრასები გადატვირთულია, იზრდება მოთხილამურეთა დაშავების რისკი, რაც უარყოფითად აისახება კურორტის რეპუტაციაზე და უკმაყოფილებას იწვევს დამსვენებლებში. გარდა ამისა, საქართველომ მოიპოვა უფლება უმასპინძლოს 2023 წლის FIS-ის მსოფლიო ჩემპიონატს, (თხილამური და სნოუბორდი) რისთვისაც მნიშვნელოვანია სასრიალო გზების დამატება და ადაპტაცია მსგავსი მაშტაბური ღონისძიების ჩატარებისათვის, რომლის გარეშეც შეუძლებელი გახდება ზემოხსენებული ღონისძიების ჩატარება.
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

⁷ პროექტის დაფინანსება გათვალისწინებულია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და 2020-2023 წლების საშუალოვანიდან პროგნოზებში

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁸</i>	66 063 192 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁹</i>	1 050 581 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი¹⁰</i>	1 345 595 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით¹¹</i>	16 470 291 ლ
<i>NPV¹²</i>	-64 540 004 ლ
<i>ENPV¹³</i>	79 282 195,5 ლ
<i>IRR¹⁴</i>	-15%
<i>EIRR¹⁵</i>	14%
<i>B/C¹⁶</i>	0,17
<i>Economic B/C¹⁷</i>	2,13

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), თუმცა პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს წინასწარი შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს, ნათლად წარმოაჩენს პრობლემას და ასაბუთებს მის გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის ფინანსური მაჩვენებლები უარყოფითია, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო 2023 წელს მასპინძლობს მსოფლიო

⁸ აღნიშნული პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 66 063 192 ლარს, რაც მოიცავს ჩახსნადი ტიპის 3 საბაგიროს მოწყობას აქედან:

- საბაგიროების ღირებულება 60 492 472ლ;
- საბაგიროს პლატფორმა ხიდით 5 000 000ლ;
- სალარო-გამშვები პუნქტები 570 720ლ.

⁹ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი, სხვა ხარჯები

¹⁰ შემოსავლებში იგულისხმება მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში ვიზიტორების დამატებითი ზრდით მიღებული შემოსავალი

¹¹ შემოსავლებში იგულისხმება დამატებითი ეკონომიკური სარგებელიც, რაც შეექმნება მიმდებარე მოსახლეობას და ზოგადად კურორტს. სარგებელი დათვლილია, როგორც ქვეყნის მიერ მიღებული სარგებელი საბაგიროების აშენების შემთხვევაში (FIS-ის მსოფლიო ჩემპიონატიდან 2023 წელს) ასევე კურორტის მოსახლეობის და სხვადასხვა ობიექტების მიერ ჯამურად მიღებული სარგებელი ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობიდან

¹² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

¹³ NPV ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

¹⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

¹⁵ IRR ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

¹⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

¹⁷ B/C ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

ჩემპიონატს (თხილამურებსა და სნოუბორდში), FIS-ის წინაშე აღებული ვალდებულებები გულისხმობს წინამოსაზმადებული შეჯიბრებებისა და შეკრებების მასპინძლობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნულ კურორტზე პროფესიული სპორტსმენებისა და მათთან დაკავშირებული ტურისტების ზრდას. გეგმიური შეჯიბრებისა და ცნობადობის ამაღლების ხარჯზე გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული პროექტიდან ეკონომიკური სარგებლი (EIRR და ENPV) დადებითია.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, პროექტი აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

3. საზვავე სისტემა კობის ახალი სასრიალო არეალისათვის¹⁸

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	საზვავე სისტემა კობის ახალი სასრიალო არეალისათვის
პროექტის წარმდგენი მხარე/დაქვემდებარება/უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ზვავების მართვის სისტემა ითვალისწინებს საზვავე უბნებზე უწყვეტ მონიტორინგს, პროგნოზირებას და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით ზვავის ხელოვნურად ჩამოშვებას, რაც იძლევა “დროის განკარგვის” საშუალებას და უზრუნველყოფს ადამიანების, არსებულ ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას და გასაწმენდი თოვლის მოცულობის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას. სისტემის მეშვეობით იგეგმება ზვავების ხელოვნური გამოწვევა ჭარბი ნალექის შემთხვევაში, რაც მოთხილამურეებს თავიდან აარიდებს ზვავების საშიშროებას.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება. დიდი ყურადღება ეთმობა სამთო კურორტებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ახალი კურორტების მშენებლობას, რომელთა შორისაა გუდაურის სამთო სათხილამურო კურორტის განვითარება და მასში სოფელ კობის ჩართვა. გუდაური-კობის ახალი სასრიალო ტრასები და ინფრასტრუქტურა განიცდის ზვავების გავლენას, რაც იწვევს კურორტით მოსარგებლების და ოპერატორების არასაკმარის უსაფრთხოების დონეს, ინფრასტრუქტურის შესაძლო ზიანს და ეკონომიკურ ზარალს. ამ პრობლემის გამო კურორტს არ აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად იყოს დატვირთული და უსაფრთხო იყოს ტურისტებისათვის.
შეფასების პერიოდი	15 წელი

¹⁸ გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტში

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
მოთხოვნილი დაფინანსება	19 697 008 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ¹⁹	251 931.7 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ²⁰	0
NPV ²¹	-22 285 057 ლ
IRR ²²	-
B/C ²³	0

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), თუმცა აღწერილი პრობლემა გადაუდებლად მოსაგვარებელია გუდაურის კურორტის ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, პროექტი აკმაყოფილებს შემდეგ ეტაპზე გადსვლის კრიტერიუმებს.

დანართი#3: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

¹⁹ ხარჯებში შედის: ტექნიკური პერსონალის ხელფასი, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ასაფეთქებელი მასალების რაოდენობა და სხვა ხარჯები

²⁰ შემოსავლები ამ პროექტიდან არ არის მოსალოდნელი

²¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

4. ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ქ. ბათუმის ფილიალი²⁴

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ქ. ბათუმის ფილიალი
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში აშენდება 250 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების ადაპტირებული საჯარო სკოლის შენობა, სადაც განთავსებული იქნება უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სხვა ინვენტარი. სკოლის ფილიალს ექნება შესაძლებლობა უზრუნველყოს დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ტრენინგების, კორქმოფების, ექსპერიმენტული სწავლების და ა.შ. ჩატარების გზით.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის პოლისტურ განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც, რაც საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნას და ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. კერძო სექტორი არ არის მზად მოახდინოს ინვესტიცია დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. შესაბამისად, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფოს ინტერვენცია. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უპასუხოს შესაბამისი

²⁴ გათვალისწინებულია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და 2020-2023 წლების სამუალოვადიან პროგნოზებში

	სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებებით განათლების ყველა დონეზე.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მაჩასიათებლები	
მოთხოვნილი დაფინანსება	11,499,994.09 ლ
მ.შ კაპიტალური ხარჯები	11,399,994.09 ლ
აღჭურვილობის ხარჯი	100,000.0 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ²⁵	642,493.4 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი	707,780.2 ლ
მ. შ შემოსავლები საშაბათო სკოლიდან	53,434.4 ლ
მ. შ საჯარო სკოლის გაუზრდული დაფინანსებიდან შემოსავალი	376,278.4 ლ
მ. შ სკოლა-პანსიონის პროგრამული დაფინანსება	278,067.4 ლ
NPV ²⁶	-10,319,102.66 ლ
IRR ²⁷	-25%
B/C ²⁸	0.43

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც.

²⁵ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები (წყალი, დასუფთავება, დენი), ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი, აკადემიური პერსონალის ხელფასი (ლექტორები, პროფესორ-მასწავლებლები) და 2030 წლიდან აუცილებელი რემონტის ხარჯი

²⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

250 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების ადაპტირებული საჯარო სკოლა ბათუმში, მთიანი აჭარის მოსწავლეებს, შესაძლებლობას მისცემს ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული შესწავლის. ასევე, იზრდება კომაროვის სკოლის საშაბათო წრეების დაფარვის არეალიც რეგიონებში.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#4: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

5. სარეზერვო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სარეზერვო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მოძიებულ ფართზე აშენდება ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო სკოლის შენობა, რომელიც გათვლილი იქნება 650 მოსწავლეზე და გამოყენებული იქნება თბილისის მასშტაბით ავარიული და სადემონტაჟო შენობების მქონე საჯარო და სპეციალიზებული სკოლების დროებით განთავსების ადგილად, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება, მასწავლებლებს ერთ სივრცეში მოუწევთ სასწავლო პროცესის წარმართვა და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებლობას აიღებს სამინისტრო. აღნიშნული პროექტის განხორციელება მოგვცემს საშუალებას ეტაპობრივად დავიწყოთ რეაბილიტაციები თბილისის 14 საჯარო და სპეციალიზებულ სკოლაში სამომავლოდ აღნიშნული შენობა შესაძლებელია გადაეცეს დიდი დილმის ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე საჯარო სკოლას და ამ გზით დაკმაყოფილდეს დიდი დილმის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება სახლთან ახლოს უფასო ზოგადი განათლების მიღებაზე.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ბევრი საჯარო სკოლის შენობა სრულად სარეაბილიტაციოა და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, მოსწავლეებს არაკომფორტულ გარემოთან ერთად უწევთ საფრთხისშემცველ პირობებში სწავლა. სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კი მხოლოდ ზაფხულის არდადეგების პერიოდში (მაქსიმუმ 3 თვე) აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები, რაც არ არის საკმარისი პროცესის სრულყოფილად განსახორციელებლად. სარემონტო სამუშაოების გახანგრძლივების გამო ყოველწლიურად გვიწევს სასწავლო წლის დაწყების თარიღის ცვლილება, რის გამოც გაცდენილი დღეების ასანაზღაურებლად საჯარო სკოლები დამატებით სასწავლო პროცესს წარმართავენ შაბათ დღეს, რაც არაეფექტურია და მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზეც აისახება.

	ასევე, გასათვალისწინებელია, საჯარო სკოლების მწვავე დეფიციტი, რომელიც დიდი დილმის ტერიტორიაზეა. აქ ფუნქციონირებს მხოლოდ ორი საჯარო და 3 კერძო სკოლა. საჯარო სკოლებში კონცენტრირებულია მოსწავლეთა დასაშვებზე მეტი რაოდენობა (2 და 3 ცვლა) და ფაქტიურად, არ არის უზრუნველყოფილი უფასო განათლებაზე სრული ხელმისაწვდომობა დიდ დილმში მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის. მათი საერთო რაოდენობის 25% სწავლობს სხვა უბნებში არსებულ საჯარო სკოლებში. სამომავლოდ აღნიშნული შენობა შესაძლებელია გადაეცეს დიდი დილმის ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე საჯარო სკოლას და ამ გზით დაკმაყოფილდეს დიდი დილმის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება საჯარო სკოლებზე.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
მოთხოვნილი დაფინანსება	10,127,330 ლ
მ.შ კაპიტალური ხარჯები	9,867,330.0 ლ
აღჭურვილობის ხარჯი	260,000.0 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ²⁹	692,740.8 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი	638,644.9 ლ
მ. შ საჯარო სკოლის გაუჩერული დაფინანსებიდან შემოსავალი	638,644.9 ლ
NPV ³⁰	-10,243,576.06 ლ
IRR ³¹	#NUM!
B/C ³²	0.42

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი სოციალურად

²⁹ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები (წყალი, დასუფთავება, დენი), ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი, აკადემიური პერსონალის ხელფასი (ლექტორები, პროფესორ-მასწავლებლები) და 2032 წლიდან აუცილებელი რემონტის ხარჯი

³⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

³¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა.

ბევრი საჯარო სკოლის შენობა სრულად სარეაბილიტაციოა და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. რეაბილიტაციის პროცესში მცირე და საშუალო ზომის სკოლების დროებით განთავსება ალტერნატიული ფართის სახით შერჩეული ახლომდებარე საჯარო სკოლების შენობაში ხერხდება. თუმცა, ერთ შენობაში დილის და საღამოს ცვლებში ორი სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, ასევე დისკომფორტს უქმნის მშობლებს გაზრდილ დისტანციაზე შვილების ტრანსპორტირების პროცესში. ასევე, გასათვალისწინებელია, საჯარო სკოლების მწვავე დეფიციტი, რომელიც დიდი დიდმის ტერიტორიაზეა.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#5: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

6. ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სოციალური მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა³³

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სოციალური მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	პროექტის განხორციელებით შესაძლებელი იქნება ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანსაღი ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფა. გაუმჯობესდება მათი სოციალური მდგომარეობა. სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს 2019 წლის დეკემბერში და უნდა დასრულდეს 2021 წლის ბოლომდე. პროექტი ითვალისწინებს (პირველ ეტაპზე) დაახლოებით 582 ოჯახის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას. ხოლო დარჩენილი ოჯახებისათვის საბინაო პირობებით უზრუნველყოფა დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მეორე და მესამე ეტაპის მშენებლობის პერიოდში.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	2012 წელს, ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურში, ყოფილი სამხედრო ბატალიონის ტერიტორიაზე, აჭარის მაღალმთიანეთიდან ათეულობით ოჯახი ჩამოვიდა საცხოვრებლად. ყოფილი 25-ე და 53-ე რუსული სამხედრო ბატალიონების ბაზებზე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებმა ხის და მუყაოს ფიცრულები ააგეს და დასახლდნენ. ბევრი მათგანი ეკომიგრანტი, მრავალშვილიანი ოჯახიდანაა ან საკუთარი სახლი, ხელვაჩაურში გადმოსახლებამდე, არ ჰქონდათ. დასახლბას „ოცნების ქალაქის“ სახელით მოიხსენებენ. ცხოვრებისათვის შეუსაბამო პირობების მიუხედავად, მოსახლეობა დაკავებული ტერიტორიის დატოვებას არ აპირებს. ე.წ. ოცნების ქალაქის საკითხი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკოლოგიისა და უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ახალი პროექტი ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ითვალისწინებს. თითოეული მოქალაქის საკითხს შესაბამისი სამუშაო ჯგუფი

³³ გათვალისწინებულია 2020 წლის და 2020-2023 წლების საშუალოვადიან პროგნოზებში;

	ინდივიდუალურად სწავლობს. ამასთანავე არსანიშნავია ის გარემოება, რომ UNICEF-ის კვლევების საფუძველზე მიღებულია რეკომენდაცია ბავშვთა ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფის გადაუდებლობის თაობაზე (ბავშვების ფსიქოლოგიაზე გარემოს ზემოქმედება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის არ არსებობა)
შეფასების პერიოდი	30 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ეკონომიკური მახასიათებლები		
	ბენეფიციარების ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას მშენებლობა	ალტერნატიულ ადგილას მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება	41 882 815 ლ	45 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები	საცხოვრებელი ფართები დასრულებისთანავე გადაეცემა კერძო საკუთრებაში	საცხოვრებელი ფართები დასრულებისთანავე გადაეცემა კერძო საკუთრებაში
საშუალო წლიური შემოსავალი ³⁴	1 549 936 ლ	1 600 260.7 ლ
NPV ³⁵	-69 461 ლ	-1 928 696 ლ
IRR ³⁶	5%	2%
B/C ³⁷	1.05	1.0

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 30 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 30 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად.

წარმოდგენილი პროექტი არ არის ფინანსურად ან ეკონომიკურად მომგებიანი, თუმცა პროექტს აქვს მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტი და მიზნად ისახავს დიდ ხნის მანძილზე არსებული პრობლემის გადაჭრას. გარდა ამისა, პროექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე (ხარჯები მხოლოდ პირველი 3 წლის მანძილზე, მუდმივი შემოსავალი მომდევნო წლებში),

³⁴ შემოსავლებში შედის მოსახლეობის მშენებლობაზე დასაქმების შემთხვევაში მათ მიერ მიღებული სარგებელი და საცხოვრებელ კორპუსებში კომერციული ფართის გაქირავებით მიღებული სარგებელი

³⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

³⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) 1-ზე მეტია ბენეფიციარების ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას მშენებლობის შემთხვევაში.

შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტი გადავიდეს შემდგომ ეტაპზე.

დანართი#6: გთხოვთ, იხილოთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

7. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლეჯის მშენებლობა³⁸

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლეჯის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/უწყება</i>	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	სპორტის უნივერსიტეტის და სპორტის კოლეჯის შენობა აშენდება ახალი თბილისის ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე. ოლიმპიური ქალაქის ტერიტორიაზე იქნება კომპლექსურად განთავსებული ჭიდაობის და კრივის დარბაზები, ყინულის მოედანი, სტადიონი, საცურაო აუზი, მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს თეორიული მეცადინეობების პრაქტიკაში გამოყენებას. გარდა ამისა, მოსალოდნელზე მაღალი მოთხოვნის და სტუდენტების ზრდის ტემპიდან გამომდინარე ახალ ლოკაციაზე არის სივრცე, რომ გაფართოვდეს უნივერსიტეტი. ახალ ლოკაციაზე ასევე არის სივრცეები სამომავლოდ სტუდენტებისთვის კამპუსის ასაშენებლად. ასევე განიხილება სპორტის უნივერსიტეტის და სპორტის კოლეჯის ახალი შენობის აშენება დღეს არსებულ ტერიტორიაზე და არსებული შენობის რეკონსტრუქცია.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	დღეისათვის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი ქვეყნის სასპორტო განათლების ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია. არსებული მდგომარეობით, უნივერსიტეტი და კოლეჯი განთავსებულია ავარიულ შენობაში (არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა), რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1955 წელს და უკვე დიდი ხანია არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. შესაბამისად, სტუდენტებს ცუდ პირობებთან ერთად უწევთ საფრთხის შემცველ გარემოში სწავლა. გარდა ამისა, ამჟამინდელ ლოკაციებზე არ არის შესაძლებელი ახალი სპორტული ბაზების დამატება, რადგანაც არ არის საკმარისი სივრცე. შენობა არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, არ არის შექმნილი სტუდენტებისთვის სწავლებისა და

³⁸ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში სპორტული ინფრასტრუქტურისათვის გათვალისწინებული რესურსიდან, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება, პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

	კვლევითი სამუშაოებისთვის სათანადო პირობები, არ არის დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები, ვერ ხორციელდება თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წარმართვა. სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯი უნდა აღიჭურვოს თანამედროვე აუდიტორიებით, ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზებით და თანამედროვე ინვენტარით.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები				
	არაფრის კეთება	რეკონსტრუქცია	ახალი შენობა ოლიმპიურ პარკში	ახალი შენობა იგივე ადგილას
მოთხოვნილი დაფინანსება ³⁹	-	4 800 000 ლ	7 500 000 ლ	9 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁴⁰	3 676 076,3 ლ	3 950 031,6 ლ	4 805 779,5 ლ	4 805 779,5 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁴¹	2,318,519.6 ლ	3 106 269,6 ლ	4 998 206,6 ლ	4 998 206,6 ლ
მ.შ შემოსავალი უნივერსიტეტის სტუდენტებიდან	1,167,750.0	1,698,750.0	3,223,412.0	3,033,799.5
მ.შ შემოსავალი კოლეჯის სტუდენტებიდან	398,250.0	405,000.0	768,495.6	723,289.9
მ.შ შემოსავალი მასწავლებელთა გადამზადებებიდან	750,000.0	1,000,000.0	1,000,000.0	1,000,000.0
NPV ⁴²	-12,928,788.15 ლ	-11 931 166,31 ლ	-279 173,06 ლ	-4 779 173,06 ლ
IRR ⁴³	-	-	-	-
B/C ⁴⁴	0,69	0,78	0,99	0,96

³⁹ რეკონსტრუქციის ღირებულებაა 4 800 000 ლარი. ახალი შენობის აშენების ღირებულებაა 7 500 000 ლარი. თუ ახალი შენობა აშენდება იგივე ადგილას, სადაც მდებარეობს ძველი შენობა, ემატება დემონტაჟის ხარჯი - 1 500 000 ლარი

⁴⁰ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

⁴¹ შემოსავლებში შედის უნივერსიტეტის და კოლეჯის სტუდენტების სწავლის საფასური და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური

⁴² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁴⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად.

ორგანიზაციის მიერ პრობლემის გადაჭრის მიზნით, წარმოდგენილია 4 ალტერნატივა. აღნიშნული ალტერნატივები შეფასებულ იქნა წმინდა მიმდინარე ღირებულებით. არსებობს რისკი პროექტის ძირითად პარამეტრებთან და დაშვებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით (მაგ. ხარჯები, პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი შემოსავლები, განხორციელების დრო, მოთხოვნა მომსახურებაზე და ა.შ.), რაც მოსალოდნელია, რომ უარყოფით გავლენას მოახდენს პროექტის ეფექტიანობაზე და სიცოცხლისუნარიანობაზე.

გარდა ამისა, ყველა ალტერნატივას აქვს უარყოფითი NPV და ასევე ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ფინანსურად წამგებიანია და საშუალოვადიან პერიოდში არსებული ფისკალური რესურსის გათვალისწინებით, მიზანშეუწონელია პროექტის გადასვლა შემდეგ ეტაპზე.

პროექტით წარმოდგენილი კოლეჯისა და უნივერსიტეტის ვიწრო პროფილის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტის მიზანშეუწონილობის საკითხი განხილული იქნეს განათლების რეფორმის საერთო კონტექსტში, სხვადასხვა რეგიონში არსებული ფართო პროფილის უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების შესაძლებელობების გათვალისწინებით.

დანართი#7: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

8. საერთაშორისო სტანდარტების ყინულის დარბაზის მშენებლობა⁴⁵

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	საერთაშორისო სტანდარტების ყინულის დარბაზის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	აშენდება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საწვრთნელი და საშეჯიბრო ბაზა, რაც საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის უკეთესად მომზადების საშუალებას მისცემს ქართველ სპორტსმენებს, გაზრდის მათ შედეგებს საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე საგრძნობლად გაიზრდება შესაბამის სახეობაში მოვარჯიშე სპორტსმენთა რაოდენობა, ასევე გაიზრდება ადგილობრივი სამწვრთნელო კადრები და გაიზრდება მოყვარულ სპორტსმენთა რაოდენობა. განვითარდება სპორტის ახალი ოლიმპიური სახეობა შორტ ტრეკი. საქართველო შეძლებს უმასპინძლოს საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს ფიგურულ ციგურაობაში, ჰოკეიში, შორტ ტრეკში. მოეწყობა სხვა ქვეყნის სპორტსმენებისთვის საწვრთნელ-მოსამზადებელი შეკრებები, რითიც გაიზრდება ტურისტული და ფულადი ნაკადი სხვადასხვა ქვეყნებიდან.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	დღეისათვის საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნულ ნაკრებს და ჰოკეის ეროვნულ ნაკრებს არ გააჩნიათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საწვრთნელი და საშეჯიბრო ბაზა. არსებული მდგომარეობით მათ უწევთ სავარჯიშო პროცესის ჩატარება ბათუმის ყინულის მოედანზე ან სხვა ქვეყნებში. ბათუმის ყინულის მოედანს არ აქვს სტაციონარული გადახურვა და სპორტსმენები დამოკიდებულნი არიან ბუნებრივ პირობებზე. მაგალითად, ძლიერი თოვლის დროს შეუძლებელია ვარჯიშების ჩატარება. სხვა ქვეყნებში სავარჯიშო პროცესის წარმართვა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. საქართველოს ამ ეტაპზე არ შეუძლია ჰოკეის და ფიგურული ციგურაობის არც ერთი საერთაშორისო შეჯიბრის/ტურნირის ჩატარება. თბილისში არ არსებობს სტანდარტული ზომის ყინულის მოედანი. სპორტის ამ სახეობების

⁴⁵ პროექტის დაფინანსება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, თუმცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში სპორტული ინფრასტრუქტურისათვის გათვალისწინებული რესურსიდან, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება, პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

	განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დედაქალაქში სტანდარტული ზომის ყინულის მოედნის არსებობას. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსიც, მოთამაშეები, მწვრთნელები, ძირითადად თავმოყრილია თბილისში და ზამთრის სპორტის ოლიმპიური სახეობის (ფიგურული სრიალი: (ერთეულები ვაჟები და გოგონები, წყვილები ცეკვებში, წყვილები სპორტულ ცეკვებში და სინქრონული სრიალი), ჰოკეი, შორტ-ტრეკი) განვითარებისთვის აუცილებელია, რომ თბილისში ფუნქციონირებდეს ერთი სტანდარტული ზომის ყინულის მოედანი. ოჯახებს უწევთ თბილისიდან გადასვლა ბათუმში ან საზღვარგარეთ, რათა სპორტსმენებმა ივარჯიშონ.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	არაფრის კეთება	2 მოედნიანი დარბაზის მშენებლობა	1 მოედნიანი დარბაზის მშენებლობა
სპორტსმენთა პროგნოზირებული რაოდენობა	710.0	4,142	2,071
სპორტსმენთათვის დაწესებული გადასახადი	100.78 ლ	62,99 ლ	62.99 ლ
სპორტსმენთა მაქსიმალური დატვირთვის მაჩვენებელი (ერთდროულად რამდენ სპორტსმენს შეუძლია ვარჯიში)	-	214.0	115.0

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	2 მოედნიანი დარბაზის მშენებლობა	1 მოედნიანი დარბაზის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁴⁶	-	29 700 000 ლ	19 305 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁴⁷	3,149,512.7 ლ	1,778,913.3 ლ	1,420,420.8 ლ

⁴⁶ ახალი ყინულის დარბაზის თავდაპირველი მოთხოვნილი ინვესტიციაა: 2 მოედნიანი დარბაზის მშენებლობის შემთხვევაში - 10 000 000 აშშ დოლარი (29 700 000 ლარი), 1-მოედნიანი დარბაზის მშენებლობის შემთხვევაში - 6 500 000 აშშ დოლარი (19 305 000 ლარი)

⁴⁷ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი

სამშალო წლიური შემოსავალი ⁴⁸	858,683.1ლ	3,205,103.8ლ	1,602,551.9ლ
NPV ⁴⁹	-24,081,570.43 ლ	-15,643,792.70 ლ	-17,808,426.42 ლ
IRR ⁵⁰	-	-2%	-13%
B/C ⁵¹	0,27	0,71	0,50

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ზედმეტად ოპტიმისტურია გათვლები, როგორც სპორტსმენთა პროგნოზირებული რაოდენობის (სახეობების მიხედვით), ასევე სპორტსმენთათვის განკუთვნილი გადასახადის ოდენობის.

სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა წარმოდგენილი 3 ალტერნატივა წმინდა მიმდინარე ღირებულებით. ყველა ალტერნატივას აქვს უარყოფითი NPV, ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს და ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ფინანსურად წამგებიანი და ასევე ზრდის რისკებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

წარმოდგენილი ალტერნატივების დიზაინით პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლა საჭიროებს დაშვებების დამატებით ანალიზს, ასევე პროექტის შესაძლებელია პროექტში კერძო სექტორის (თანა)მონაწილეობის საკითხის დამატებით განხილვა.

დანართი#8: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

⁴⁸ შემოსავლებში შედის შეჯიბრებებზე მაცურებლის დასწრებიდან მიღებული შემოსავალი, სპორტსმენთა ყოველთვიური გადასახადიდან მიღებული შემოსავალი

⁴⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁵⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

9. სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი⁵²

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ამენდება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სპორტული მედიცინისა და სარეაბილიტაციო ცენტრი, რაც საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის უკეთესად მომზადების საშუალება მისცემს, გაზრდის მათ შედეგებს საერთაშორისო ასპარეზზე. ყველა ქართველი სპორტსმენი, საჭიროების შემთხვევაში გაივლის დიაგნოსტიკას და რეაბილიტაციას საქართველოში. ასევე ცენტრს ექნება საშუალება მიიღოს სპორტსმენები მეზობელი ქვეყნებიდან, რითიც გაიზრდება ქვეყანაში სამედიცინო მიზნით ჩამოსული ტურისტებისა და ფულადი ნაკადები. სხვადასხვა ქვეყნებში დახარჯული საბიუჯეტო სახსრები დარჩება ქვეყანაში და მოხმარდება ადგილობრივ ეკონომიკას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის, ასევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს ექნებათ საშუალება თეორიულ სწავლებასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრში.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც კომპლექსურად მოემსახურება საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს, სხვადასხვა სპორტული სახეობების ეროვნულ ნაკრებებს და სპორტსმენებს. ამჟამად ნაკრების წევრი სპორტსმენები რეაბილიტაციას გადიან საქართველოში - ავერსის კლინიკაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციის ცენტრში და დავით ტატიშვილის სპორტ-პალას-ში. საზღვარგარეთ - ნიურნბერგში, შტუტგარტში და კიოლნში. რაზეც წელიწადში დაახლოებით 1 მილიონი ლარი იხარჯება.

⁵² საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში სპორტული ინფრასტრუქტურისათვის გათვალისწინებული რესურსიდან, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება, პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

	პროექტის განხორციელების შემდეგ ოლიმპიურ და ეროვნულ ნაკრებებს ექნებათ სრულყოფილი სადიაგნოსტიკო, ფიზიოთერაპიის, ტრავმატოლოგიის, რეაბილიტაციის და ლაბორატორიული გამოკვლევების ცენტრი. გარდა ამისა, საქართველოში არ არსებობს არც ერთ ცენტრი, სადაც ბავშთა ასაკიდან მოხდება დისპანსერიზაცია ყველა საჭირო ექიმის გამოკვლევით, პრევენციით და სწორი დიაგნოსტიკით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშთა სიკვდილიანობა სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში. კავკასიის რეგიონში არც ერთ კლინიკაში არ არსებობს სწრაფი აღდგენის და კრიოთერაპიის განყოფილება, რის გამოც ასიათასობით ლარი იხარჯება უცხოეთში ამ სახის რეაბილიტაციაზე. არ არსებობს სპორტის სახეობების მიხედვით ექიმ-რეაბილიტოლოგების მასაჟისტების პრაქტიკული მზადების ცენტრი. უცხოეთში წასვლის კიდევ ერთი მიზეზი არის სწრაფი და სწორი დიაგნოზისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა, რასაც იძლევა კრიოთერაპია.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	არაფრის კეთება	რეაბილიტაციის ცენტრის აშენება	მცირე ზომის ცენტრის აშენება
ობიექტის მაქსიმალური დატვირთვა	-	145,600	72.800
სპორტსმენთათვის დაწესებული გადასახადი	-	72.9 ლ	72.9 ლ
სპორტსმენთა მაქსიმალური დატვირთვის მაჩვენებელი (ერთდროულად რამდენ სპორტსმენს შეუძლია ვარჯიში)	-	100.0	50.0

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	რეაბილიტაციის ცენტრის აშენება	მცირე ზომის ცენტრის აშენება

მოთხოვნილი დაფინანსება ⁵³	-	8 230 000 ლ	5 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁵⁴	1 259 805.1 ლ	6 078 497 ლ	2 779 341.7 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁵⁵	-	6,016,396.7 ლ	2 420 085.6 ლ
NPV ⁵⁶	-13 243 274.54 ლ	-8,609,310.42 ლ	-9 495 631.53 ლ
IRR ⁵⁷	#NUM!	#NUM!	#NUM!
B/C ⁵⁸	0	0.92	0.76

სამუშაო გეგმის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად.

წარმდგენი ორგანიზაციის მიერ პრობლემა ნათლად არის აღწერილი, თუმცა პროექტი ვერ აკმაყოფილებს წინასწარი შერჩევის კრიტერიუმებს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ობიექტის ფიზიკური სიმძლავრე/გამტარობა ზედმეტად ოპტიმისტურია. ქვეყნის მასშტაბით სრულად არაა აღწერილი თუ როგორ მოხერხდება რეგიონებში სპორტსმენების ასევე მოყვარულების რეაბილიტაცია, რაც დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამასთან, სპორტსმენთათვის დაწესებული გადასახადიც 60 ლარის ოდენობით აჭარბებს ბაზარზე არსებულ ფასებს, რომელიც მერყეობს 20 ლარიდან 50 ლარამდე. ამასთან, აღნიშნული ცენტრზე მოთხოვნის შექმნა ხორციელდება იმ დაშვებით, რომ ყველა სპორტსმენის სამედიცინო შემოწმება სავალდებულო ხდება, რაც პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არ არის ცენტრის მშენებლობასთან.

გარდა ამისა, პროექტით არ არის გათვალისწინებული მიმდინარე აღჭურვის ხარჯებიც. წარმოდგენილია 3 ალტერნატივა. აღნიშნული ალტერნატივები შეფასებულ იქნა წმინდა მიმდინარე ღირებულებით. ყველა ალტერნატივას აქვს უარყოფითი NPV, ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს და ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე.

ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი ფინანსურად წამგებიანია, ხოლო ცენტრის მომსახურებაზე ძირითადი მოთხოვნის შექმნა ხორციელდება ბენეფიციარებისათვის სავალდებულო შემოწმების დაწესები გზით, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ სამედიცინო მომსახურების სფეროში

⁵³ თავდაპირველი ინვესტიციის ხარჯებია: რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა - 8 230 000 ლარი, მცირე რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა - 5 000 000 ლარი

⁵⁴ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, ექიმების და დამხმარე პერსონალის ხელფასი,

⁵⁵ შემოსავლებში შედის სპორტსმენების მიერ გადახდილი თანხები და სპონსორების/იჯარის შემოსავალი

⁵⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁵⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

ბაზარზე უმეტესად კერძო სექტორი ოპერირებს, შესაძლებელია განხილული იქნეს პროექტის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება, კერძო სექტორის დაინტერესება და მათი ჩართულობის გაზრდა.

დანართი#9: გთხოვთ, იხილოთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

10. თეატრალური მინიქალაქის მშენებლობა⁵⁹

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	თეატრალური მინიქალაქის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო/ სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
პროექტის მოკლე აღწერა	მარჯანიშვილის თეატრის ექსპერიმენტული სივრცის მოწყობა ქალაქის ცენტრისგან მოშორებით - სოფელ ტაბახმელაში, სამანქანო გზასთან ახლოს. შემოქმედებითი განვითარება ინტეგრირებული იქნება საგანმანათლებლო მიმართულებასთან. აშენდება თეატრალური მინი ქალაქი, სადაც მოეწყობა დიდი სცენა (300 მაყურებელზე გათვლილი) და პატარა სცენა (100 მაყურებელი). გარდა ამისა, იგეგმება სასტუმროს, რესტორნის, კაფეს, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზების მოწყობაც.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ზოგადად თეატრის ფუნქციონირება კომერციულად მომგებიანი არ არის, თუმცა აუცილებელია ქვეყნის კულტურული და სოციალური განვითარებისთვის. მსგავს პროექტებს, მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად სახელმწიფო ახორციელებს. გარდა ამისა, მოხდება თეატრის სხვა კულტურულ ობიექტებთან შერწყმა. თეატრალური ქალაქი ახალი ბრენდული სტრატეგიაა კულტურული ტურიზმისა და მდგრადობის მიმართულებით. დღეს მძაფრად დგას საკითხი თუ როგორ შეიძლება კულტურის ინტეგრირება ურბანულ და კულტურის მდგრადი განვითარების სტრატეგიებში მათი განვითარების უზრუნველსაყოფად? არტვლიიჯები, მინიქალაქები, ცენტრები, მულტიპროფესიული სივრცეები ერთერთი ყველაზე მკაფიო პასუხია ამ კითხვაზე 21-ე საკუნეში - მინიქალაქები და კულტურული მულტიფუნქციური სივრცეები დიდი ხანია გაჩნდა მსოფლიოში და განვითარების ახალი სტიმულია - როგორც შემოქმედებითი, ისე ეკონომიკური. მეტიც - ეს სივრცეები ურბანული განვითარების მნიშვნელოვან ბიძგია. საქართველოში ასეთი მულტუფუნქციური სივრცე არ არსებობს. და თეატრს ყველაზე მეტად შეუძლია ამ როლის შესრულება - თეატრი ყველაზე სოციალური ხელოვნებაა. თეატრალური მინიქალაქი განვითარების ახალ და სრულ შესაძლებლობას იძლევა - თეატრალური სივრცეებით, საგანმანათლებლო და ექსპერიმენტული პროექტებისა და სივრცეების საშუალებით.
შეფასების პერიოდი	15 წელი

⁵⁹ პროექტის დაფინანსება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და 2020-2023 წლების ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში;

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	წარმდგენი უწყების დაშვებით	ფინანსთა სამინისტროს დაშვებით
მაყურებელთა პროგნოზირებული რაოდენობა	41,493	31,893
მაყურებელთა საერთო რაოდენობა	59,520	59,520
სპექტაკლების რაოდენობა	160	160
დატვირთვის მაჩვენებელი	70%	55%
ბილეთის საშუალო ღირებულება	43	43

გასათვალისწინებელია პროექტის შესახებ მონაცემების დაზუსტება რამდენჯერმე მოხდა, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოთხოვილი იქნა მონაცემები მოქმედი მარჯანიშვილის თეატრის იგივე მაჩვენებლებთან შედარებით, ვინაიდან თეატრზე მოთხოვნას მხოლოდ ახალი სივრცის მშენებლობა არ ქმნის და მოსალოდნელია რომ ახალი თეატრის დატვირთვის გასათვლელად მნიშვნელოვანია არსებული თეატრების დატვირთვის გათვალისწინება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ინიციატორს შორის დაშვებებში არსებობს პრინციპული აზრთა სხვადასხვაობა, რის გამოც მონაცემებში წარმოდგენილია ორივე ვერსია. პრინციპული სხვაობაა თეატრის დატვირთვის მაჩვენებლთან დაკავშირებით. ინიციატორის მხრიდან წარმოდგენილი ვერსიით თეატრის შესაძლებლობის (400 მაყურებელი) 70 % დაიტვირთება თეატრის გახსნიდან დაახლოებით 2 წელიწადში. გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქის ცენტრში არსებული მარჯანიშვილის თეატრის დატვირთვის მაჩვენებელი 55%-ის ფარგლებშია, შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 55%-იანი დაშვების ვერსიაც ოპტიმისტურად მიაჩნია, ანალიზი მომზადდა ვერსიაზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქალაქარეთ თეატრისთვის დატვირთვის მაჩვენებლის დაშვება იქნება იგივე, რაც ქალაქის ცენტრში არსებული ხანგრძლივი ტრადიციების მქონე თეატრში. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ზოგადად თეატრების მუშაობის სეზონურობას (სექტემბერი-მაისი) და ახალი ლოკაციის სპეციფიკას (ძირითადად საზაფხულო, სააგარაკე ლოკაცია) თეატრის დატვირთვის მაჩვენებელი შესაძლებელია კიდევ უფრო ოპტიმისტური აღმოჩნდეს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაშვებით გათვალისწინებული ანალიზი შედარებულია ინიციატორის მიერ წარმოდგენილ დაშვებებთან (70%-იანი დატვირთვა). აქვე გასათვალისწინებელია მარჯანიშვილის თეატრის მაყურებელთა შემცირების რისკიც (რეჟისორების და მსახიობების ახალ თეატრში ნაწილობრივი გადანაცვლების შემთხვევაში) თეატრისათვის, რომელიც დღესაც სუბსიდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მოთხოვნის ახალ თეატრზე გადანაცვლება (თუნდაც ნაწილობრივი) პირდაპირ პროპორციულად აისახება თეატრის მიერ მისაღები შემოსავლების მოცულობაზე, შესაბამისად საჭირო გახდება ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების მობილიზება.

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	წარმდგენი უწყების დაშვებით	ფინანსთა სამინისტროს დაშვებით
მოთხოვნილი დაფინანსება⁶⁰	6,000,000 ლ	6,000,000 ლ
<i>მ.შ. კაპიტალური ხარჯი</i>	5 000 000 ლ	5 000 000 ლ
<i>თეატრის აღჭურვილობის საშუალო ხარჯი</i>	1 000 000 ლ	1 000 000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁶¹</i>	1 562 096 ლ	1 686 842 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი⁶²	2 005 991 ლ	2 049 386 ლ
<i>მ.შ ბილეთების გაყიდვიდან მიღებული საშუალო შემოსავალი</i>	1 827 689 ლ	1 410 401 ლ
<i>იჯარიდან მიღებული საშუალო შემოსავალი</i>	178 302 ლ	178 302 ლ
<i>NPV⁶³</i>	-1,283,417.86 ლ	-6,896,821.44 ლ
<i>IRR⁶⁴</i>	1%	#NUM!
<i>B/C⁶⁵</i>	0,94	0,73

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

დაშვებების ორივე ვერსია (პროექტის ინიციატორი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) გამოყენებული იქნა ხარჯთ-სარგებლიანობის წინასწარი ანალიზისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ხარჯების ნაწილში ასახულია მხოლოდ საბაზისო საოპერაციო ხარჯები და არ ითვალისწინებს სხვა ხშირად ერთჯერადი ხასიათის ხარჯებს, რომლებიც თეატრის სპეციფიკის გათვალისწინებით არის მოსალოდნელი, როგორიცაა მაგალითად სადადგმო ხარჯები და სპეციალური აღჭურვილობების ხარჯები.

წარმოდგენილი პროექტით - თეატრალური მინი ქალაქის მშენებლობა შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი

⁶⁰ დაფინანსება - 5 მლნ - მშენებლობის ხარჯი, 1 მლნ - სხვადასხვა საჭირო ტექნიკით აღჭურვის ხარჯი

⁶¹ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები. შენარჩუნების ხარჯები, პერსონალის ხელფასი

⁶² შემოსავლებში შედის გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი, რესტორნის და კაფეს იჯარა, საკონფერენციო დარბაზის იჯარა და საგამოფენო სივრცის იჯარა, ასევე სპონსორებიდან მიღებული თანხები და გრანტები

⁶³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁶⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁶⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად.

ამასთან, წარმდგენი უწყების მიერ მომზადებული კონცეფციის ბარათის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა პროექტი და მოამზადა გათვლების საკუთარი ვერსია, რომლის მიხედვით თეატრალური მინი ქალაქის მშენებლობა 15 წლის განმავლობაში ფინანსურად წამგებიანი პროექტია (NPV არის უარყოფითი). ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს.

გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, წარმოდგენილი პროექტი ვერ აკმაყოფილებს წინასწარი შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების „ბ“ განყოფილების (პროექტის არსი და მისი განხორციელების საჭიროების შეფასება) მე-5 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში, მომდევნო 3 წლის მანძილზე წარმოიშვება გადაუდებელი აუცილებლობა ქვემოთ მოყვანილ მომსახურებებზე:

- ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ან ექსპლუატაციის ვადის ზღვრზე მყოფ ობიექტზე არსებული მოთხოვნა;
- არსებულ ობიექტებში რესურსების მკაცრი შეზღუდვა, რაც იწვევს არსებული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას;
- მზარდი მოთხოვნა, რომელიც უახლოეს მომავალში სავარაუდოდ გადააჭარბებს არსებული ობიექტების შესაძლებლობებს; ან
- მოთხოვნა ახალ მომსახურებაზე.

აღნიშნული გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ არის წარმოდგენილი პროექტი, არსებული დიზაინით გადავიდეს განხილვის შემდგომ ეტაპზე.

დანართი#10: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები.

11. ახალი გუდაურის და სეთურების დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობა და პარკირების მოწყობა⁶⁶

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ახალი გუდაურის და სეთურების დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობა და პარკირების მოწყობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	ალტერნატივა 1: ქვედა გუდაურში, სეთურებში, რომელიც მდებარეობს 1870 მ ნიშნულზე, მცირედ დახრილ პლატოზე, პარკინგის (1200 მანქანაზე გათვლილი) და საბაგიროს მოწყობა, რომელიც მოემსახურება მოთხილამურეებს, ასევე ექნება სატრანსპორტო დანიშნულება. საბაგიროს გამტარუნარიანობა იქნება 2800 ადამიანი საათში. ალტერნატივა 2: ქვედა გუდაურში, სეთურებში, რომელიც მდებარეობს 1870 მ ნიშნულზე, მცირედ დახრილ პლატოზე, პარკინგის (1200 მანქანაზე გათვლილი) მოწყობა. დაახლოებით 50 მინი ავტობუსების შესყიდვა და მათი დახმარებით ვიზიტორების ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	სამანქანო გზის სივიწროვე ვერ უზრუნველყოფს მოზღვავებული სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობას, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის კურორტზე გადაადგილების თვალსაზრისით, არის საცობები, რაც იწვევს სერიოზულ დისკომფორტს. ხდება ჰაერის სერიოზული დაბინძურება გამონაბოლქვის სახით. ასევე, უხვთოვლიანობის დროს გაძნელებულია ფეხით გადაადგილება. 2015-2018 წლებში კურორტს დაემატა ახალი საბაგიროები, ინტენსიურად მიმდინარეობს სასტუმროების მშენებლობა, შესაბამისად ტურისტთა ნაკადიც მატულობს. კურორტის განვითარებისა და სატრანსპორტო საშუალებებისგან განტვირთვისთვის აუცილებელი გახდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა - კურორტის განტვირთვა და დამატებითი საბაგირო გზის და საპარკინგე სივრცის მოწყობა.
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

⁶⁶ პროექტის დაფინანსება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, თუმცა საშუალოვადიან პერიოდის ფისკალური ჩარჩოს პროგნოზებში შესაძლებელია რესურსის მოძიება, პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	არაფრის კეთება	ახალი საბაგიროს მშენებლობა
ობიექტის მაქსიმალური დატვირთვა დღეში	-	22,400.0
ვიზიტორთა პროგნოზირებული რაოდენობა	649,559.9	649,559.9

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
	ახალი საბაგიროს მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁶⁷	46 420 300 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁶⁸	1 086 252 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁶⁹	6 895 656 ლ
NPV ⁷⁰	7 464 791 ლ
IRR ⁷¹	6%
B/C ⁷²	1.19

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

⁶⁷ აღნიშნული პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 46 420 300 ლარს, რაც მოიცავს გონდოლური ტიპის საბაგიროს მოწყობას და 1200 მანქანაზე გათვლილ საპარკინგე სივრცეს. აქედან:

- სეთურები-ახალი გუდაურის დამაკავშირებელი საბაგიროს ღირებულება შეადგენს 31 846 300 ლარს.
- 1200 მანქანაზე გათვალისწინებული საპარკინგე სივრცის და საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურის ღირებულება - 8 000 000 ლარს;
- სალარო-გამშვები პუნქტები - 574 000 ლარს;
- მოსახლეობის გაყვანა მშენებლობისთვის საჭირო მიწებიდან - 6 000 000 ლარს.

⁶⁸ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი (სატრანსპორტო ავტობუსების შეძენის შემთხვევაში გაზრდილია მძღოლების ხელფასის გამო); სხვა ხარჯები, ქონების გადასახადი (მხოლოდ სატრანსპორტო ავტობუსების შეძენის შემთხვევაში, რადგან საბაგირო გათავისუფლებულია გადასახადებისგან)

⁶⁹ შემოსავლებში იგულისხმება მხოლოდ წარმოდგენილი ალტერნატივების განხორციელების შემთხვევაში ვიზიტორების დამატებითი ზრდით მიღებული შემოსავალი. სატრანსპორტო ავტობუსების შეძენის შემთხვევაში გამტარუნარიანობა ნაკლებია, ვიდრე საბაგიროს შემთხვევაში, შესაბამისად, შემოსავალი ნაკლებია

⁷⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁷¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁷² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

პროექტის პირველადი ანალიზში, დადებითი შეფასების მიუხედავად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის კობი-გუდაურის გზის და გვირაბის მშენებლობა) გათვალისწინებით, პროექტის მომგებიანობა და მისი ალტერნატიული ვერსიების მომზადება საჭიროებს დამატებით განხილვას.

დანართი#11: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

12. თბილისი-ნაფეტვრები-ახალდაბის გზის მშენებლობა⁷³

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	თბილისი-ნაფეტვრები-ახალდაბის გზის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
პროექტის მოკლე აღწერა	ახალი მარშრუტის მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ახალდაბის მოსახლეობის დაკავშირება დედაქალაქთან, ასევე დედაქალაქში არსებული ცენტრალურ მაგისტრალებს (ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. წყნეთის გზატკეცილს, ალ. ჯავახიშვილის ქ. და რუსთაველის ქ.) საათში დაახლოებით 1500 ავტოსატრანსპორტო საშუალება მოაკლდება. მოხდება მოსახლეობის სოციალური ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს მათ კეთილდღეობას და უფრო მეტი ეკონომიკური აქტივის შექმნას, ასევე შეიქმნება ბიზნესისთვის კომფორტული გარემო. ⁷⁴ იგეგმება საავტომობილო გზის და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, ასევე გარე განათების ქსელის მოწყობა.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სატრანსპორტო სექტორის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქ თბილისის ირგვლივ არსებული სოფლების, სხვადასხვა საწარმოებისა და საკურორტო-სააგარაკო დასახლებების დაკავშირებისთვის საქართველოს დედაქალაქთან. განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, სოფლებში ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქციის ტრანსპორტირებას ქალაქში არსებული გასაღების პუნქტებამდე და ადგილობრივი საკურორტო-სააგარაკო მეურნეობის წახალისებას, შესაბამისად ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობას, ზრდის პროდუქციის წარმოების სტიმულირებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში სოციალური ფონის

⁷³ დაფინანსება ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებაში გათვალისწინებული არ არის

⁷⁴ გზის მშენებლობის ტექნიკური პარამეტრები:

- საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 8.240 კმ- ს
- მიწის ვაკის სიგანე - 9.5 მ
- სავალი ნაწილის სიგანე გამაგრების ზოლით - 7.5 მ
- სავალი ზოლის სიგანე - 3.25 მ
- გამაგრების ზოლის სიგანე - 0.5 მ
- გვერდულების სიგანე - 1.0 მ
- მინიმალური რადიუსი გეგმაში - 60 მ
- მაქსიმალური გრძივი ქანობი - 11.0 %

	გაუმჯობესების, ეკონომიკის გაჯანსაღების და მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის სიღარიბის დაძლევის საქმეში. ამ ახალი მარშრუტის მოწყობის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური მოვლენების პერიოდში, როდესაც სწორედ სოფ. ახალდაბის მახლობლად მთის ფერდის დიდი მასივის ჩამოშლის შედეგად დაინგრა და ჩაიკეტა წყნეთი-ახალდაბის საავტომობილო გზა, სოფლები პრაქტიკულად მოწყდა ცენტრალურ გზებს, რამაც მნიშვნელოვნად გააძნელა სტიქიის ზონაში მოყოლილთა ევაკუაცია და სამაშველო ოპერაციები, შეაფერხა ადგილობრივ მაცხოვრებელთა სამედიცინო მომსახურება, აუცილებელი საკვები პროდუქტებით მომარაგება და სტიქის მიერ დანგრეული კომუნიკაციების აღდგენითი სამუშაოები.
შეფასების პერიოდი	30 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
მოთხოვნილი დაფინანსება ⁷⁵	18 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁷⁶	817,023.7 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁷⁷	3 289 068 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით ⁷⁸	12,846,075.94 ლ
NPV ⁷⁹	-11,581,414.34 ლ
ENPV ⁸⁰	41,344,814.60 ლ
IRR ⁸¹	-
EIRR ⁸²	20%
B/C ⁸³	0.44

⁷⁵ აღნიშნული პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 18 000 000 ლარს, სადაც:

- ხელოვნური ნაგებობები - 7 800 000
- გზის სამოსი - 6 500 000
- საგზაო მოწყობილობა - 3 700 000

⁷⁶ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, დამატებითი ხარჯები

⁷⁷ შემოსავლებში იგულისხმება მოსახლეობის მიერ დროის დაზოგვის სარგებელი და კერძო საკუთრების განვითარებიდან მიღებული სარგებელი

⁷⁸ შემოსავლებში იგულისხმება დამატებითი ეკონომიკური სარგებელიც, რაც მოიცავს სააგარაკე ბიზნესის განვითარებას

⁷⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁸⁰ NPV ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

⁸¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁸² IRR ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

⁸³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 30 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი დაშვებებით, მიმდებარე (სააგარაკე პოტენციალის) არეალის განვითარების (მიწების რეალიზაცია, დასახლების განვითარება, შესაბამისი კომრეციული ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი) მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი, 30 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი) დადებითია.

პროექტი შესაძლებელია გადავიდეს განხილვის შემდგომ ეტაპზე, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს დეტალურ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, მათ შორის გარემოზე ზედამხედველობის შესახებ.

დანართი#12: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

⁸⁴ B/C ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით

13. ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები⁸⁵

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტი ითვალისწინებს მწვანე კონცხის დასახლებაში სატუმბო სადგურის, 500 მ.კბ. რეზერვუარის, წყალსადენის ქსელის მშენებლობას და მოსახლეობის გამრიცხველიანობას. პროექტით გათვალისწინებულია 420 ოჯახთან ცენტრალური წყლის მიყვანა მისი გამრიცხველიანობით და ორმოცდაათამდე მოქმედ და მშენებარე საოჯახო ტიპის და მაღალი კლასის სასატუმროს ჩართვა ცენტრალიზირებულ წყალსადენის სისტემაში. პარალელურად მოეწყობა კანალიზაციის სისტემა KFW-ს პროგრამის ფარგლებში.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	დღეისათვის მწვანე კონცხის დასახლება მიეკუთვნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს და არის მჭიდროდ დასახლებული. ამჟამად დასახლებაში არ არის ცენტრალიზებული წყალსადენის სისტემა, მიუხედავად იმისა რომ იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და ტურისტების მოსაზიდად იგეგმება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.
შეფასების პერიოდი	30 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	
მოთხოვნილი დაფინანსება	7 480 963.53 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁸⁶	658 411.8 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁸⁷	224 991.1 ლ
NPV ⁸⁸	-12 723 923.15 ლ
IRR ⁸⁹	-
B/C ⁹⁰	0.15

⁸⁵ გათვალისწინებული არ არის 2020 წლის ბიუჯეტში

⁸⁶ ხარჯებში შედის: დაცვის პერსონალის ხელფასი, ტექნიკური პერსონალის ხელფასი, ელ. ენერგიის ხარჯი, აუცილებელი რემონტის ხარჯი და სხვა ხარჯები

⁸⁷ შემოსავლებში შედის მოსახლეობიდან, საოჯახო და მაღალი კლასის სასატუმროებიდან მიღებული წყლით სარგებლობის გადასახადი, ასევე შემოსავალი ბიზნესიდან - ავტოსამრეცხაოები და რესტორნები

⁸⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁸⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁹⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 30 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 30 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების მიუხედავად.

წარმდგენი ორგანიზაციის მიერ პროექტი ვერ აკმაყოფილებს წინასწარი შერჩევის კრიტერიუმებს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ობიექტის ფიზიკური სიმძლავრე/გამტარობა ზედმეტად ოპტიმისტურია. არ არის წარმოდგენილი ალტერნატივები რაც ვერ იძლევა შედარების შესაძლებლობას.

პროექტი შეფასებულ იქნა წმინდა მიმდინარე ღირებულებით, სადაც ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით NPV უარყოფითია, ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს და ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ფინანსურად წამგებიანია, თუმცა სოციალური ფაქტორის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროექტი გულისხმობს მოსახლეობისათვის საბაზისო საჭიროების (წყლის მიწოდება) დაკმაყოფილებას, მიზანშეწონილია პროექტი გადავიდეს შემდეგ ეტაპზე და განხილული იქნეს დიზაინის შესაძლო ალტერნატივები.

დანართი#13: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

14. ქ. ქალაქ ფოთის საიალქნო კლუბი-სკოლის მშენებლობა (იახტკლუბი)⁹¹

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქ. ქალაქ ფოთის საიალქნო კლუბი-სკოლის მშენებლობა (იახტკლუბი)
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ფოთის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (კუნძულის სანაპირო ზოლი) საიალქნო კლუბის და დახურული და ღია ნავმისადგომის მოწყობას ახალგაზრდების საიალქნო სპორტში ჩართვისა და ტურიზმის განსავითარებლად. პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ამოცანები: 1. საიალქნო კლუბის მოწყობა ქალაქის მოსახლეობისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილას მოეწყობა ორსართულიანი საიალქნო სკოლა სათანადო ინფრასტრუქტურით: კაფით, სპორტდარბაზით, სასწავლო ოთახებით, საკონფერენციო დარბაზით, სასტუმროთი და ნავმისადგომით. სკოლა წლიურად მოამზადებს 60 მოსწავლეს მთელი სეზონის განმავლობაში, რაც ხელს შეუწყოს აფროსნობის მიმართ ინტერესის გაჩენას და მომავალი მეზღვაურების და სპორტსმენების მომზადებას. სკოლაში მოეწყობა სხვა ქვეყნებთან შეჯიბრებები, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას. სკოლაში არსებული სასტუმრო, კაფე და სასიამოვნო გარემო ხეს შეუწყობს ტურისტებისთვის, მეზღვაურებისთვის და მოსახლეობისთვის შეკრების და დასვენების კერის გაჩენას. 2. დაცული საზღვაო და სახმელეთო ნავმისადგომების მოწყობა, აღჭურვილი შესაბამისი კომუნიკაციებით პროექტის ფარგლებში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების საზღვაო და სახმელეთო ნავმისადგომები, რომელსაც შეეძლება ერთდროულად 25 ნავის მიღებას. დამატებით კლუბი მოემსახურება ნავის მფლობელებს სხვადასხვა მომსახურებით როგორცაა ნავების მოვლა- შენახვა, შეკეთება. გამართული ნავმისადგომის არსებობა ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას, სხვადასხვა სახის ახალი

⁹¹ პროექტის დაფინანსება ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის 2020 წლის და 2020-2023 წლების საშუალოვადიან პერსპექტივაში;

	ტურისტული მარშრუტების გაჩენას და მოსახლეობას გაუჩნდება დამატებითი შემოსავლის წყარო. საბოლოოდ კლუბი დასაბამს მისცემს ქალაქში ტურიზმის სპეციფიკური ნაირსახეობის - აფროსნობის განვითარებას. ტურიზმის აღნიშნული სახე ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და შემოსავლიანი სეგმენტია.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	ქალაქი ფოთს დიდი პოტენციალი აქვს საიალქნო ტურიზმის განვითარების მიმართულებით. 70 -იან წლებში ფოთს ბევრი აფროსანი ყავდა, მათ შორის ევროპის ჩემპიონებიც. ფოთის იახტკლუბი წარმოადგენდა ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საიალქნო კლუბების და სკოლების ნავსაყუდელს და ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა არგონავტების ცნობილი მარშრუტით მოგზაურთათვის. აღნიშნულ პოტენციალს ფოთის მუნიციპალიტეტი ვერ იყენებს მთელი რიგი ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამო: o 2012 წლიდან საიალქნო კლუბის ტერიტორია გადავიდა ფოთის პორტის სარგებლობაში, რომლის ინტერესში არ შედის კლუბის ფუნქციონირება. ამ ეტაპზე კლუბიდან მხოლოდ საიალქნო სკოლა ფუნქციონირებს და ისიც შეფერხებით არახელსაყრელი მდებარეობის, არასათანადო ინფრასტრუქტურის და ბიუროკრატიის გამო. მოსწავლეები დიდი რისკის და წვალების ფასად ეუფლებიან საიალქნო სპორტის ძალიან ლამაზ სახეობას. სკოლაში მხოლოდ 30 მოსწავლეა და ისიც მხოლოდ სეზონურად. o რაც შეეხება ნავმისადგომს, ფოთის პორტი არ იღებს საიალქნო ნავებს, რის გამოც ნავის მფლობელები, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი, იძულებული არიან ნავი დააყენონ სხვა ქალაქების იახტ კლუბებში. ბოლო 5 წლის განმავლობაში 50-მდე საიალქნო ნავის მფლობელს ეთქვა უარი ნავმისადგომის არარსებობის გამო. o ფოთში არ არსებობს ზღვისპირა შეკრების ადგილი ტურისტებისთვის, მეზღვაურებისთვის და მოსახლეობისთვის. აღნიშნული პრობლემების გამო დღითიდღე მცირდება მოსახლეობის ინტერესი საიალქნო სპორტის მიმართ, ხოლო ფოთი კარგავს უნიკალურ შესაძლებლობას აფროსნობის განვითარებით მოიზიდოს ტურისტები, გაჩნდეს დამატებით დასაქმების შესაძლებლობები და ქალაქმა მიიღოს დამატებით შემოსავალი.

	აღნიშნული პრობლემები თუკი დროულად არ მოგვარდა ფოთის მუნიციპალიტეტი დაკარგავს ტურისტებისთვის როგორც ზღვისპირა ქალაქის მიმზიდველობას.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

საშუალო რაოდენობა	წარმოდგენილი უწყების დაშვებით	ფინანსთა სამინისტროს დაშვებით
დახურული ნავმისადგომიდან მიღებული შემოსავალი	113,382.46 ლ	55,796.74 ლ
იახტების რაოდენობა	30.0	15.0
დგომის საფასური დღეში	63.0	62.0
ღია სახმელეთო მისადგომიდან მიღებული შემოსავალი	37,794.2 ლ	18,598.91 ლ
იახტების რაოდენობა	10.0	5.0
დგომის საფასური დღეში	63.0 ლ	62.0 ლ
საიალქნო სკოლიდან მიღებული შემოსავალი - მოსწავლეები	30,058.2 ლ	29,332.51 ლ
მოსწავლეების რაოდენობა	65.0	65.0
საიალქნო სკოლის საფასური	37.8 ლ	37.2 ლ
საიალქნო სკოლიდან მიღებული შემოსავალი - მოყვარულები	30,235.3 ლ	29,758.26 ლ
მოყვარულების რაოდენობა	20.0	20.0
გაკვეთილის საფასური	126.0 ლ	123.0 ლ
სპორტული დარბაზიდან მიღებული შემოსავალი	48,678.9 ლ	31,246.18 ლ
სასტუმროდან მიღებული შემოსავალი	453,529.8 ლ	66,956.09 ლ
სადემონსტრაციო დარბაზიდან მიღებული შემოსავალი	11,338.2 ლ	5,579.67 ლ
ნავების/კატერების გაქირავება	22,676.5 ლ	22,318.70 ლ

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	წარმოდგენილი უწყების დაშვებით	ფინანსთა სამინისტროს დაშვებით
მოთხოვნილი დაფინანსება	5 000 000 ლ	5 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები	307,962.8 ლ	307,962.8 ლ

საშუალო წლიური შემოსავალი	820 762.3 ლ	321,955.0 ლ
NPV^{92}	294,345.58 ლ	-4,699,504.1 ლ
IRR^{93}	6%	#NUM!
B/C^{94}	1.14	0.45

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი), ოპტიმისტური დაშვებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ობიექტის ფიზიკური სიმძლავრე/გამტარობა ზედმეტად ოპტიმისტურია. არ არის წარმოდგენილი ალტერნატივები რაც ვერ იძლევა შედარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროექტით არ არის გათვალისწინებული მიმდინარე აღჭურვის ხარჯებიც.

წარმდგენი უწყების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა პროექტის საკუთარი ვერსია, რომლის მიხედვითაც პროექტი 15 წლიან პერიოდში ფინანსურად წამგებიანი. ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით: NPV არის უარყოფითი, ასევე არ არსებობს ისეთი შიდა უგუგების დონე (IRR), რომელიც NPV-ის გაუტოლებს ნულს და ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (B/C) ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი წამგებიანია და საშუალოვადიან პერიოდში, მიზანშეუწონელია პროექტის გადასვლა შემდეგ ეტაპზე.

დანართი#14: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

⁹² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁹³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁹⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.